

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადებულია საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და განისაზღვრება 2020 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლები.

##### ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

##### ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის საქართველოს მთავრობის მიერ მომზადება და საქართველოს პარლამენტის მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოვეწლიურად.

##### ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 38-ე მუხლის შესაბამისად, 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის შესრულებას, შენარჩუნებულია ეკონომიკური სტაბილურობისთვის საჭირო ყველა აუცილებელი პარამეტრი და ამავედროულად მაქსიმალურად არის ორიენტირებული მოქალაქეებზე, რაც გამოიხატება შემდეგში:

##### ➤ სოციალური სისტემის გაუმჯობესება:

- 2020 წლის 1 იანვრიდან 20 ლარით გაიზრდება ასაკით პენსიონერთა პენსიები, ასევე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული და 18 წლამდე ასაკის შშმ პირების (880 ათასზე მეტი მოქალაქე) სოციალური გასაცემლები, რაზედაც მიიმართება 220.0 მლნ ლარზე მეტი;
- 2020 წლის 1 ივლისიდან, დამატებით 30 ლარით გაიზრდება 70 წლის და უფრო მაღალი ასაკის პირთა პენსია, მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა (450 ათასზე მეტი მოქალაქე) სოციალური გასაცემლები, რაზედაც დამატებით მიიმართება 80 მლნ ლარი. პარალელურად დაინერგება საპენსიო გასაცემლების რეგულარული ზრდის წესი.
- ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში ყველა სამედიცინო სერვისზე განხორციელდება განფასება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მოქალაქეების მიერ თანაგადახდის მოცულობებს;

- პირველადი ჯანდაცვის გაუმჯობესების მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით სასწრაფო დახმარება და სოფლის ექიმის ინსტიტუტი მოექცევა ერთი მენეჯმენტის ქვეშ, მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2020 წლის 1 ივლისიდან სასწრაფო დახმარების და სოფლის ექიმების პროგრამების ფარგლებში (8 ათასამდე მოქალაქე) ანაზღაურება გაიზრდება 100 ლარით;

➤ **განათლების სისტემა**

- 2020 წელს განათლების სისტემაზე ნაერთი ბიუჯეტიდან მიიმართება 1.8 მლრდ ლარზე მეტი;
- საჯარო სკოლების უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლების (43 ათასამდე მოქალაქე) დანამატი გაიზრდება 150 ლარით 2019 წლის 1 ოქტომბრიდან და დამატებით 150 ლარით - 2020 წელს, ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან. აღნიშნულ მასწავლებელთა ხელფასების ზრდაზე 2020 წელს ჯამში მიიმართება 140.0 მლნ ლარზე მეტი;
- 2020 წლის 1 სექტემბრიდან 100 ლარით გაიზრდება საბავშვო ბაღებში დასაქმებულთა ანაზღაურება (მასწავლებლები, აღმზრდელები და სხვა, 32 ათასზე მეტი მოქალაქე), რაზედაც მიიმართება 15.0 მლნ ლარამდე;
- საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიიმართება 280.0 მლნ ლარზე მეტი;

➤ **პოლიცია და ჯარი**

- 2020 წელს ხელფასები გაეზრდებათ ჯარისკაცებს, მეხანძრე-მაშველებს, პოლიციელებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, რაზედაც მიიმართება 50 მლნ ლარამდე;
  - ✓ მეხანძრე-მაშველებს, პოლიციელებს და მათთან გათანაბრებულ პირებს ხელფასები გაეზრდებათ 2020 წლის 1 ივლისიდან საშუალოდ 125 ლარით;
  - ✓ ჯარისკაცებისთვის ხელფასების ზრდა გაგრძელდება 2019 წლის ბოლომდე ეტაპობრივად, მათი წოდებების შესაბამისად;
- ჯარისკაცების, მეხანძრე-მაშველების, პოლიციელების და მათთან გათანაბრებული პირების ხელფასებზე 2020 წელს ჯამში მიიმართება 1.0 მლრდ ლარზე მეტი;

➤ **ინფრასტრუქტურა - 2020 წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად მიიმართება 3.7 მლრდ ლარზე მეტი, მათ შორის:**

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურა - 1.2 მლრდ ლარი;
- ჩქაროსნული მაგისტრალეები - 695.0 მლნ ლარი;
- შიდა გზები - 501.0 მლნ ლარი;
- საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა - 280.0 მლნ ლარი;
- წყლის ინფრასტრუქტურა - 256.0 მლნ ლარი;
- მუნიციპალური ტრანსპორტი - 140.0 მლნ ლარი;
- ენერგო ინფრასტრუქტურა - 116.0 მლნ ლარი;
- დევნილთა სახლების მშენებლობა / შესყიდვა - 112.0 მლნ ლარი;

➤ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე 2020 წელს მიმართება 240.0 მლნ ლარზე მეტი, მათ შორის:

- შეღავათიანი აგროკრედიტები - 74.0 მლნ ლარი;
- სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის სხვა პროგრამები - 57.0 მლნ ლარი;
- ტურიზმის ხელშეწყობა 33.0 მლნ ლარი;
- სტარტაფების და ინოვაციების დაფინანსება - 22.0 მლნ ლარი;
- საკრედიტო-საგარანტიო ფონდი - 20.0 მლნ ლარი;
- მცირე გრანტების პროგრამა - 15.0 მლნ ლარი;
- მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის სხვა პროგრამები - 20.0 მლნ ლარი;

პროექტის ძირითადი პარამეტრების შემუშავებისას გათვალისწინებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის (EFF-გაფართოებული დაფინანსების მექანიზმი) ძირითადი პრინციპები, რაც გულისხმობს მიმდინარე ხარჯების ზრდის შეზღუდვას, საბიუჯეტო დეფიციტის დაბალ მაჩვენებელს და არსებული რესურსის მიმართვას ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისი საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩო ითვალისწინებს განათლების რეფორმის ხარჯებს, ასევე საპენსიო გასაცემლებისა და ზოგიერთი სოციალური გასაცემლების ზრდას, გრძელდება მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება.

## ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

### მთლიანი შიდა პროდუქტი

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში და მომავალი წლისთვის სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზები როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიო ეკონომიკის და რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ტენდენციების შესახებ.

2019 წლის ბიუჯეტი დაგეგმილი იყო ეკონომიკის რეალური ზრდის 4.5%-იან მაჩვენებელზე, 7 თვის წინასწარი მაჩვენებლების მიხედვით რეალური ეკონომიკური ზრდა შეადგენს 4.7%-ს, თუმცა ეკონომიკური ზრდის პროგნოზი კვლავაც ნარჩუნდება 4.5%-ის ფარგლებში. მშპ-ს დეფლატორის მაჩვენებელი კი განისაზღვრა 4.5%-ის ოდენობით. გასული წლის ნოემბერთან შედარებით დაზუსტდა 2018 წლის მაჩვენებლები, რისი გათვალისწინებითაც 2019 წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი განახლებული პროგნოზით 44.9 მლრდ ლარს შეადგენს.

მშპ-ს რეალური ზრდის პროგნოზი 2020 წლისთვის 5.0%-ით არის განსაზღვრული, მომდევნო წლებში კი ეტაპობრივად იზრდება და 5,5%-ის ფარგლებშია პროგნოზირებული.

მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 2019 წელს შეადგენს 4.5%-ს, 2020 წელსა და შემდგომ წლებში კი 3%-ს. რაც შეეხება ინფლაციის მაჩვენებელს, აღნიშნული პროგნოზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნობრივი ინფლაციის ფარგლებში და შეადგენს 3,0%-ს.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, 2020 წლის ნომინალური მშპ-ს მოცულობა 48.5 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო 2023 წლისთვის პროგნოზირებულია მისი გაზრდა 62,2 მლრდ ლარამდე.

## ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

არსებული მაკროეკონომიკური პროგნოზების გათვალისწინებით, 2019 წელს საგადასახადო შემოსავლების განახლებული პროგნოზი შეადგენს 11 310,0 მლნ ლარს. 2019 წლის განახლებული პროგნოზიდან არის გაანგარიშებული 2020 წლის მაჩვენებელიც, რომელიც მშპ-ს 25.0%-ია და ნომინალურ გამოხატულებაში შეადგენს 12 130,0 მლნ ლარს, მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 690.0 მლნ ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 3 395,0 მლნ ლარს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების წილი 295,0 მლნ ლარს;

*გაანგარიშებაში გაკეთებულია საშემოსავლო გადასახადის მიმდინარე წლის და 2020 წლისთვის ეკონომიკის ნომინალური ზრდის პროგნოზების შესაბამისად.*

- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 950.0 მლნ ლარით;

*გაანგარიშებაში გათვალისწინებულია რომ მიმდინარე წელს მოგების გადასახადი გადაჭარბებით შესრულდება და გადააჭარბებს 850,0 მლნ ლარს. აღნიშნული მაჩვენებლის და ნომინალური ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით არის გაანგარიშებული მოგების გადასახადის 2020 წლის პროგნოზი. ასევე გათვალისწინებულია BP-ის მიერ მოგების გადასახადის სახით გადასახდელი თანხის ზრდა (ახალი ნავთობსადენის აშენებიდან გამომდინარე).*

- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 350.0 მლნ ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 4 333.5 მლნ ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტების წილი 1 016.5 მლნ ლარს (მუნიციპალიტეტების დღგ 2019 წელთან შედარებით იზრდება 69.9 მლნ ლარით);

*გაანგარიშებაში გაკეთებულია საშემოსავლო გადასახადის მიმდინარე წლის და 2020 წლისთვის ეკონომიკის ნომინალური ზრდის პროგნოზების შესაბამისად, ასევე გათვალისწინებულია 2019 წელს დღგ-ში ერთჯერადი ოპერაციების შედეგად მიღებული დაახლოებით 100.0 მლნ ლარის ეფექტი.*

- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 380.0 მლნ ლარის ოდენობით;

*გაანგარიშებაში გათვალისწინებულია საქართველოს პარლამენტში ინიცირებული საგადასახადო კოდექსის ცვლილებები, რომლის მიხედვითაც იცვლება თუთუნის დაბეგვრის განაკვეთები.*

- იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 80.0 მლნ ლარით;

- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 498.5 მლნ ლარს;

- სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 181.5 მლნ ლარით;

ამასთან, 2020 წელს აქტიურად გაგრძელდება წარმოქმნილი ზედმეტად გადახდილი გადასახადების (ძირითადად დღგ) დაბრუნების პროცესი და მოსალოდნელია რომ 2020 წელს დაბრუნდება 550,0 მლნ ლარზე მეტი.

## საბიუჯეტო დეფიციტი

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დეფიციტი (რომელიც ეყრდნობა GFSM 2014 კლასიფიკაციას) 2020 წელს ნაერთი ბიუჯეტისათვის შეადგენს მშპ-თან მიმართებაში 2.6%-ს, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის ფარგლებში ფისკალური ჩარჩოს ინდიკატორად გამოიყენება მოდიფიცირებული დეფიციტი, რომელიც GFSM 2014 კლასიფიკაციისგან განსხვავებით ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებსაც განიხილავს, როგორც დეფიციტის ფორმირების წყაროს. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, 2019 წლის დეფიციტი განისაზღვრება მშპ-თან მიმართებაში 2.7%-ის ფარგლებში. „ეკონომიკური თავისფულების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო 1 320.9 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 2,7% (კანონით განსაზღვრული ზღვარი მშპ-ის 3% შეადგენს). აღნიშნული პარამეტრი ნაერთ ბიუჯეტთან ერთად ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო ორგანოების მიერ დაფუძნებული სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლებიდან განხორციელებული ოპერაციების შედეგებს.

## მთავრობის ვალი

2020 წლის ბოლოსათვის „ეკონომიკური თავისფულების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მთავრობის ვალი (არ მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის ვალს და მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აღებულ ვალს) განისაზღვრება მშპ-ის 45%-ის ოდენობით (კანონით განსაზღვრული ზღვარი მშპ-ის 60% შეადგენს).

რაც შეეხება სახელმწიფო ვალის ზღვრულ მოცულობას 2020 წლის ბოლოსათვის, იგი განისაზღვრება 22 681.7 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის, სახელმწიფო საგარეო ვალი – 17 711.7 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალი – 4 970.0 მლნ ლარის ოდენობით.

## მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ტენდენციები

ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური გასაცემლების ზრდა (300.0 მლნ ლარი), ასევე დაგეგმილი საკარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების მასწავლებელთა, სასწარფოსა და სოფლის ექიმების, პოლიციელები და ჯარისკაცების ხელფასების ზრდა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა 2020 წლისთვის მაინც შენარჩუნებულია მიმდინარე ხარჯების შემცირებული მაჩვენებელი, რომელიც მშპ-ს 23.2%-ს შეადგენს. მომდევნო წლებშიც მიმდინარე ხარჯები შენარჩუნებული იქნება დაბალ ნიშნულზე.

კაპიტალური ხარჯების წილი მშპ-სთან მიმართებაში 2020 წლისთვის 7.7 %-ს შეადგენს და მომდევნო წლებშიც არანაკლებ ამავე მოცულობითაა დაგეგმილი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 14 040.0 მლნ ლარით განისაზღვრა, მათ შორის:

- შემოსავლები - 11 035.0 მლნ ლარი;
  - საგადასახადო შემოსავლები - 10 320.0 მლნ ლარი (მშპ-ს 21.3%), მათ შორის:
    - საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 395.0 მლნ ლარით;
    - მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 950.0 მლნ ლარით;

- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4 333.5 მლნ ლარით;
  - აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 380.0 მლნ ლარის ოდენობით;
  - იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 80.0 მლნ ლარით;
  - სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 181.5 მლნ ლარით;
- გრანტები - 200.0 მლნ ლარი, მათ შორის საბიუჯეტო გრანტები 90.0 მლნ ლარი, საინვესტიციო (ხარჯზე მიზმული) გრანტები 45.0 მლნ ლარი, ხოლო ბიუჯეტის პროექტის 35-ე მუხლის შესაბამისად სსიპ-ების მიერ მიღებული შემოსავლებიდან ბიუჯეტში გადმოსარიცხი გრანტები 65,0 მლნ ლარის ოდენობით;
  - სხვა შემოსავლები 515.0 მლნ ლარი.
- არაფინანსური აქტივების კლების სახით (პრივატიზაცია) მისაღები თანხების გეგმა განსაზღვრულია 120.0 მლნ ლარის ოდენობით;
  - ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი (სესხების დაბრუნება) განისაზღვრა 130.0 მლნ ლარის ოდენობით;
  - საშინაო ვალდებულებების ზრდის სახით მისაღები სახსრების გეგმა განსაზღვრულია 900.0 მლნ ლარის ოდენობით;
  - საგარეო ვალდებულებების ზრდის სახით მისაღები სახსრების გეგმა განსაზღვრულია 1 855.0 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:
    - სექტორულ რეფორმებთან დაკავშირებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები - 685.0 მლნ ლარი;
    - საინვესტიციო (პროექტებზე გამოყოფილი) კრედიტები - 1 170.0 მლნ ლარი;

### სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 14 211.9 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 12 996.9 მლნ ლარს, გრანტები - 45.0 მლნ ლარს, ხოლო კრედიტები - 1 170.0 მლნ ლარს.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ჯამური მოცულობა შეადგენს 10 670.3 მლნ ლარს, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 1 562.0 მლნ ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 1 321.4 მლნ ლარი;
- პროცენტი - 720.0 მლნ ლარი;
- სუბსიდიები - 517.4 მლნ ლარი;
- გრანტები - 652.2 მლნ ლარი;
- აღნიშნულ თანხაში 488.7 მლნ ლარი გათვალისწინებულია კაპიტალური ხარჯებისთვის, ხოლო 163.5 მლნ ლარი მიმდინარე ხარჯებისთვის.*
- სოციალური უზრუნველყოფა - 4 318.0 მლნ ლარი;
- სხვა ხარჯები - 1 579.3 მლნ ლარი.

აღნიშნულ თანხაში 417,2 მლნ ლარი გათვალისწინებულია კაპიტალური ხარჯებისთვის, ხოლო 1 162,1 მლნ ლარი მიმდინარე ხარჯებისთვის, რომელთა შესახებაც დეტალური ინფორმაცია მოცემულია პროექტის თანდართულ მასალებში.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებულია 2 201.6 მლნ ლარი, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გამოყოფილია - 342.2 მლნ ლარი;

ვალდებულებების კლება შეადგენს 997.7 მლნ ლარს, საიდანაც 953.7.0 მლნ ლარი მიმართული იქნება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე, ხოლო 44.0 მლნ ლარი - საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების და დავალიანების დაფარვაზე.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ასიგნებები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- **ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს** დაფინანსება 2019 წლის გეგმასთან შედარებით იზრდება 378.6 მლნ ლარით და შეადგენს 4 347.0 მლნ ლარს (ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების 30.6%). აღნიშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:
  - სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის - 3 126.0 მლნ ლარი, საიდანაც 2 230.0 მლნ ლარი მიიმართება მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისთვის, ხოლო მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებისათვის გათვალისწინებულია 793.0 მლნ ლარი. ამ პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია 2020 წლის პირველი იანვრიდან პენსიის 20 ლარით ზრდა ასაკით პენსიონერებისთვის, ხოლო 2020 წლის 1 ივლისიდან დამატებით 30 ლარით გაეზრდება პენსია 70 წლის და ზევით ასაკით პენსიონერებს. 2020 წლის 1 იანვრიდან სოციალური გასაცემლის 20 ლარიანი ზრდა ასევე გათვალისწინებულია მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული და 18 წლამდე ასაკის შშმ პირებისათვის, ხოლო 2020 წლის 1 ივლისიდან დამატებით 30 ლარიანი ზრდა შეეხებათ მკვეთრად გამოხატულ და 18 წლამდე ასაკის შშმ პირებს;
  - **ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისთვის** - 1 076.4 მლნ ლარამდე, მათ შორის:
    - მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამისთვის - 754.0 მლნ ლარი;
    - იმუნიზაცია - 22.5 მლნ ლარი;
    - C ჰეპატიტის მართვის პროგრამა - 7.0 მლნ ლარი;
    - ტუბერკულოზის მართვა - 16.0 მლნ ლარი;
    - აივ ინფექცია/შიდსის პროგრამა - 12.5 მლნ ლარი;
    - ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა - 12.2 მლნ ლარამდე;
    - დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია - 36.6 მლნ ლარი;
    - ფსიქიკური ჯანმრთელობა - 27.5 მლნ ლარი;
    - დიაბეტის მართვა - 15.0 მლნ ლარი (გაზრდილია 1.5 მლნ ლარით);
    - სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება - 82.2 მლნ ლარი - 2019 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 37.5 მლნ ლარით. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 2020 წლის 1 ივლისიდან ანაზღაურების ზრდა 100 ლარით. გარდა ამისა, ქ. თბილისის და ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო სერვისების მიწოდება განხორციელდება ჯანდაცვის სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ, რაც გააუმჯობესებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისს და გაზრდის მოსახლეობისათვის ამ სერვისის დროულ ხელმისაწვდომობას და ოპერატიულობას ქვეყნის მასშტაბით.
    - სოფლის ექიმი - 27.5 მლნ ლარი. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 2020 წლის 1 ივლისიდან ანაზღაურების გაზრდა 100 ლარით;
    - რეფერალური მომსახურება - 20.0 მლნ ლარი;

- ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 10.0 მლნ ლარი და სხვა.
- სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვისათვის - 15.0 მლნ ლარი;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობისათვის სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულია 66.7 მლნ ლარზე მეტი, აღსანიშნავია, რომ დევნილთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულია 55.0 მლნ ლარი, შესაბამისად დევნილთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფისა და მიგრანტთა ხელშეწყობისათვის გამოყოფილია ჯამურად 120.0 მლნ ლარამდე.
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გამოყოფილია 2 071.6 მლნ ლარი, რაც 71.6 მლნ ლარით აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:
  - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის - 1 315.2 მლნ ლარზე მეტი, მათ შორის თანხები მიიმართება შემდეგი საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციაზე:
    - მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე საავტომობილო გზის და გვირაბის მშენებლობა - 50.0 მლნ ლარი;
    - აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური-რიკოთის მონაკვეთი - 70.0 მლნ ლარი;
    - თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი - არგვეთის მონაკვეთი - 340.0 მლნ ლარი;
    - სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთი - 50.0 მლნ ლარი;
    - ბათუმის ახალი შემოვლითი გზა - 70.0 მლნ ლარი;
    - გრიგოლეთი-ჩოლოქის მონაკვეთის მშენებლობა - 50.0 მლნ ლარი;
    - ქუთაისის შემოვლითი საავტომობილო გზის მეორე ზოლი - 60.0 მლნ ლარი;
    - ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია - 32.4 მლნ ლარი;
    - სნო-ჯუთა-როშკა-მატილი-ომალო-ხადორის ხეობა - ბაწარა - ახმეტის მიმართულებით საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მშენებლობა - 20.0 მლნ ლარი;
    - ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია - 70.0 მლნ ლარი;
    - ანაკლიის პორტთან მისასვლელი საავტომობილო გზის და რკინიგზის მშენებლობა - 50.0 მლნ ლარი;
    - ზემო იმერეთი (საჩხერე) - რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა - 25.0 მლნ ლარი;
    - ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია - 15.0 მლნ ლარი.
  - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 262.1 მლნ ლარი, მათ შორის:
    - მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (ADB) - 27.0 მლნ ლარი;
    - საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი (EIB) - 95.0 მლნ ლარი;
    - რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი - 17.3 მლნ ლარი;
    - ურბანული არეალების განვითარების პროგრამა (ADB) - 10 მლნ ლარი;
    - ურბანული ტრანსპორტის განვითარების პროგრამა (EBRD) - 15.0 მლნ ლარი, გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტებისათვის ავტობუსების შეძენა;



- ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია - 6.0 მლნ ლარი;
  - ბაკურიანის მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესების პროგრამა (EBRD) - 10.0 მლნ ლარი;
  - საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და განახლებადი-ალტერნატიული ენერჯის გამოყენება (E5P, NEFCO) – 8.0 მლნ ლარი.
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია 256.8 მლნ ლარი, მათ შორის 2020 წელს განხორციელდება:
- რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებები - 65.0 მლნ ლარი;
  - რეგიონებში წყალმომარაგების მხარდაჭერის ღონისძიებები - 30.0 მლნ ლარი;
  - ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა - 160.0 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია სასმელი წყლის და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია (მესტია, ანაკლია, ურეკი, ფოთი, ზუგდიდი, ჯვარი, ჭიათურა, გუდაური, ბაკურიანი, ბოლნისი, მარნეული), ასევე ქუთაისის და თელავის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია და აბაშის მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია;
- იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისთვის გათვალისწინებულია 55.0 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. ჯანდაცვის სამინისტროში გათვალისწინებულ თანხასთან ერთად, დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე ჯამში მიიმართება 112.0 მლნ ლარამდე;
- მუნიციპალიტეტების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რეაბილიტაციისათვის, სამინისტროს ბიუჯეტში გათვალისწინებულია 149.0 მლნ ლარი. ქვეყნის მასშტაბით საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 280.0 მლნ ლარამდე.
- **განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს** დაფინანსება 2019 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 132.4 მლნ ლარამდე შეადგენს 1 636.0 მლნ ლარს.

გასათვალისწინებელია, რომ 2019 წელს აქტიურად დაიწყო განათლების სისტემის რეფორმა, რომელიც მათ შორის გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგთა როგორც სოციალური გარანტიების ასევე მათ მიერ მიწოდებული სწავლების ხარისხის სისტემურ გაუმჯობესებას. საქართველოს პარლამენტში წარდგენილი, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის თანახმად, 2019 წელსვე ზოგადი განათლების ბიუჯეტი იზრდება 95 მლნ ლარით. აღნიშნული რესურსი გამოყენებული იქნება ასაკით პენსიონერი, პრაქტიკოსი მასწავლებლების კომპენსაციებისათვის (2 წლის ანაზღაურების ოდენობით), რომლებიც ტოვებენ სისტემას, ასევე უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლების დანამატის 150 ლარით ზრდის ხარჯების და მასწავლებლების მიერ სტატუსის ამღლების შესაბამისი შრომის ანაზღაურების დასაფინანსებლად. 2020 წლის ბიუჯეტში შესაბამისად გათვალისწინებულია მიმდინარე წელს დაწყებული რეფორმის ხარჯების, ასევე რეფორმის შემდგომი ეტაპის განხორციელების ხარჯები.

სამინისტროს ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- სკოლამდელი და ზოგადი განათლების დასაფინანსებლად - 925.3 მლნ ლარამდე, მათ შორის:
  - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - 780.0 მლნ ლარი - პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საჯარო სკოლების უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლების დანამატების შემდგომი ზრდა 150 ლარით 2020 წლის ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან;
  - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა - 11.7 მლნ ლარამდე;

- უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა - 19.3 მლნ ლარზე მეტი;
  - მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა - 23.0 მლნ ლარი;
  - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა - 23.6 მლნ ლარამდე;
  - პროგრამა "ჩემი პირველი კომპიუტერი" - 33.0 მლნ ლარი და სხვა;
  - პროფესიული განათლების დასაფინანსებლად - 52.9 მლნ ლარამდე, მათ შორის გათვალისწინებულია მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურების 36%-იანი ზრდა;
  - უმაღლესი განათლების დასაფინანსებლად - 142.0 მლნ ლარზე მეტი;
  - მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისთვის - 65.5 მლნ ლარი;
  - ინკლუზიური განათლების პროგრამის დასაფინანსებლად - 20.5 მლნ ლარზე მეტი;
  - სამინისტროს სისტემის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის - 127.3 მლნ ლარზე მეტი, მათ შორის:
    - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის - 80.0 მლნ ლარი ;
    - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის - 15.0 მლნ ლარი;
    - უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის - 5.0 მლნ ლარი;
    - კულტურაში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერისთვის - 10.0 მლნ ლარი;
    - სპორტში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერისთვის - 10.0 მლნ ლარი;
  - კულტურის განვითარების ხელშეწყობისთვის - 84.9 მლნ ლარზე მეტი, მათ შორის:
    - ხელოვნების განვითარებისთვის - 51.8 მლნ ლარი;
    - კულტურის ხელშეწყობისთვის - 13.1 მლნ ლარზე მეტი;
  - კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფისთვის - 23.8 მლნ ლარზე მეტი;
  - მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების და პოპულარიზაციის დასაფინანსებლად - 130.4 მლნ ლარი. მათ შორის ტოკიოს ოლიმპიადის მოსამზადებლად გათვალისწინებულია 14 მლნ ლარი;
  - კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად - 21.1 მლნ ლარზე მეტი.
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 353.0 მლნ ლარს. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:
    - სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობისთვის - 37.1 მლნ ლარი, საიდანაც აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებებისთვის გათვალისწინებულია 17.0 მლნ ლარი;
    - მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისთვის - 12.7 მლნ ლარი;
    - ერთიანი აგროპროექტის დასაფინანსებლად - 129.9 მლნ ლარი (გაზრდილია 32.5 მლნ ლარით), მათ შორის:
      - შეღავათიანი აგროკრედიტებისთვის - 74.0 მლნ ლარი (გაზრდილია 25.0 მლნ ლარით);
      - დანერგე მომავალის დასაფინანსებლად - 13.0 მლნ ლარი;
      - სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსებისთვის - 12.0 მლნ ლარი;
      - მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი - 5 მლნ ლარი;
      - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურული განვითარება - 4.5 მლნ ლარი.
    - სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობისთვის - 88.3 მლნ ლარი;
    - გარემოსდაცვითი ზედამხედველობისთვის - 20.6 მლნ ლარზე მეტი;

- დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბებისა და მართვისთვის - 13.0 მლნ ლარი;
  - სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვისთვის - 13.8 მლნ ლარამდე (გაზრდილია 1.9 მლნ ლარით);
  - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 3.0 მლნ ლარი.
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გამოყოფილია 364.0 მლნ ლარი, მათ შორის:
    - მოსახლეობის გაზიფიცირებისათვის გათვალისწინებულია 60.0 მლნ ლარი, რაც გულისხმობს 17 ათას ახალ აბონენტს;
    - სათხილამურო ინფრასტრუქტურისათვის გათვალისწინებულია 78 მლნ ლარი;
    - მეწარმეობის განვითარების პროგრამისათვის გათვალისწინებულია 57.6 მლნ ლარი, მათ შორის 20.0 მლნ ლარი საგარანტიო ფონდისთვის, ასევე სახსრების გათვალისწინებულია მცირე გრანტებისათვის;
  - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 93.0 მლნ ლარს;
  - იუსტიციის სამინისტროსთვის გამოყოფილია 203.0 მლნ ლარი, მათ შორის არბიტრაჟებში, უცხო ქვეყნის სასამართლოებში და საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობისათვის გათვალისწინებულია 15.0 მლნ ლარი. წინა წლებში აღნიშნული თანხის გამოყოფა ხდებოდა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან.
  - საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გამოყოფილია 159.0 მლნ ლარი
  - თავდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილია 880.0 მლნ ლარი, მათ შორის გათვალისწინებულია სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასების ზრდა;
  - შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გამოყოფილია 770.0 მლნ ლარი; გათვალისწინებულია 2020 წლის 1 ივლისიდან პოლიციელთა ხელფასების ზრდის (საშუალოდ 125 ლარით) დაფინანსება.
  - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 137.5 მლნ ლარი; გათვალისწინებულია 2020 წლის 1 ივლისიდან ხელფასების ზრდის (საშუალოდ 125 ლარით) დაფინანსება.
  - საქართველოს პროკურატურისთვის გათვალისწინებულია 37.3 მლნ ლარი;
  - საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის გათვალისწინებულია 58.5 მლნ ლარი; გათვალისწინებულია 2020 წლის 1 ივლისიდან ხელფასების ზრდის (საშუალოდ 125 ლარით) დაფინანსება.
  - სახალხო დამცველის აპარატისთვის გათვალისწინებულია 8.0 მლნ ლარი, მათ შორის გათვალისწინებულია სახსრები აპარატის შენობის მშენებლობის დაწყებისათვის;
  - იურიდიული დახმარების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 6.6 მლნ ლარი;
  - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის გათვალისწინებულია 8.0 მლნ ლარი, რაც წინა წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 5.2 მლნ ლარით. აღნიშნული გამოწვეულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე და „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამსახურისთვის მთელი რიგი ახალი ფუნქციების დამატებით, მათ შორის საგამოძიებო საქმიანობასთან დაკავშირებული ფუნქციები. შესაბამისად, გათვალისწინებულია სამსახურის გაზრდილი სამტატო რიცხოვნობის დაფინანსება;
  - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოსთვის გათვალისწინებულია 5.0 მლნ ლარი;
  - ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დაფინანსება შეადგენს 3.2 მლნ ლარს.

**საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მთლიანი მოცულობა შეადგენს 2 627.8 მლნ ლარს, მათ შორის:**

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 1 320.0 მლნ ლარი;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 390.0 მლნ ლარი;
- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის გათვალისწინებულია 300.0 მლნ ლარი;

- „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების თანახმად მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებულია 20.0 მლნ ლარი;
- მთავრობის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 40.0 მლნ ლარით;
- დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება 200.0 მლნ ლარით განისაზღვრა;
- დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების (205.9 მლნ ლარი) ფარგლებში გათვალისწინებულია მათ შორის:
  - თბილისის ავტობუსების პროექტების დაფინანსება - 120.0 მლნ ლარი;
  - თბილისის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის დაფინანსება 37.0 მლნ ლარი;
- ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები განისაზღვრა 131.0 მლნ ლარით, მათ შორის:
  - მიზნობრივი დაფინანსება დელეგირებული უფლებამოსილებებისათვის განსაზღვრულია 12.0 მლნ ლარით;
  - ერედვის, თიღვის, ქურთის, ახალგორის და აჟარის მუნიციპალიტეტებისათვის გათვალისწინებულია სპეციალური ტრანსფერი 19.0 მლნ ლარის ოდენობით;
  - ქ. თბილისის ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის გათვალისწინებულია 100 მლნ ლარი.
- გასათვალისწინებელია, რომ 2020 წელს მუნიციპალიტეტების მიერ დღგ-ის სახით მისაღები შემოსავლები პროგნოზირებულია 1 016.5 მლნ ლარის (დღგ-ის 19%) ოდენობით და ნაწილდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით. 2019 წელთან შედარებით დღგ-ის სახით მისაღები შემოსავლები გაზრდილი 70.0 მლნ ლარამდე, ხოლო გადასახადების სახით ჯამში მუნიციპალიტეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისათვის გათვალისწინებულია 145.0 მლნ ლარით მეტს მიიღებენ 2019 წელთან შედარებით.

დღგ-ის პროგნოზის განაწილების შედეგად მუნიციპალიტეტების მიერ მისაღები შემოსავლების განაწილება:

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება	
	დღგ-ის 19%-ის განაწილება	დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა
ქ. თბილისი	46,30%	470 608,9
ქ. ბათუმი	4,70%	47 803,3
ქ. ქუთაისი	3,48%	35 368,1
ქ. რუსთავი	2,65%	26 953,6
გორის მუნიციპალიტეტი	3,19%	32 418,8
მარნეულის მუნიციპალიტეტი	1,43%	14 537,2
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	2,42%	24 578,8
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	0,23%	2 343,8
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	1,14%	11 630,0
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	1,45%	14 771,6
თელავის მუნიციპალიტეტი	1,42%	14 425,8
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	1,08%	10 984,1
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	0,97%	9 851,6
მცხეთის მუნიციპალიტეტი	0,51%	5 164,1
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	0,11%	1 093,8
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	1,06%	10 761,4
ხაშურის მუნიციპალიტეტი	1,21%	12 329,4

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება	
	დღგ-ის 19%-ის განაწილება	დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	0,97%	9 819,5
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	0,79%	8 013,6
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	0,86%	8 759,5
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	0,08%	812,5
კასპის მუნიციპალიტეტი	0,70%	7 103,1
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	1,04%	10 546,8
ქ. ფოთი	0,42%	4 248,1
ქარელის მუნიციპალიტეტი	1,03%	10 485,1
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	0,92%	9 367,7
სენაკის მუნიციპალიტეტი	0,80%	8 182,2
ახალციხის მუნიციპალიტეტი	1,06%	10 798,4
საჩხერის მუნიციპალიტეტი	1,20%	12 188,3
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	0,81%	8 213,0
მარტვილის მუნიციპალიტეტი	0,81%	8 189,3
ახმეტის მუნიციპალიტეტი	0,81%	8 232,0
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	0,74%	7 496,4
ხობის მუნიციპალიტეტი	0,40%	4 062,5
ყვარლის მუნიციპალიტეტი	0,50%	5 120,3
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	0,46%	4 711,7
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	0,63%	6 434,3
დუშეთის მუნიციპალიტეტი	0,59%	6 029,5
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	0,12%	1 218,8
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	0,34%	3 485,5
ვანის მუნიციპალიტეტი	0,63%	6 374,8
ხულოს მუნიციპალიტეტი	0,27%	2 712,5
ხონის მუნიციპალიტეტი	0,64%	6 512,9
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	0,55%	5 578,8
აბაშის მუნიციპალიტეტი	0,53%	5 386,4
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	0,56%	5 684,1
დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტი	0,17%	1 731,1
თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი	0,61%	6 241,6
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	0,44%	4 503,4
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	0,54%	5 516,4
დმანისის მუნიციპალიტეტი	0,61%	6 173,8
წალკის მუნიციპალიტეტი	0,17%	1 755,6
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	0,37%	3 777,2
ქედის მუნიციპალიტეტი	0,75%	7 637,8
ადიგენის მუნიციპალიტეტი	0,53%	5 375,8
შუახევის მუნიციპალიტეტი	0,03%	312,5
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	0,69%	6 985,7
ასპინძის მუნიციპალიტეტი	0,08%	828,1
ცაგერის მუნიციპალიტეტი	0,63%	6 358,4
მესტიის მუნიციპალიტეტი	0,41%	4 183,0
თიანეთის მუნიციპალიტეტი	0,51%	5 151,3

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება	
	დღგ-ის 19%-ის განაწილება	დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა
ონის მუნიციპალიტეტი	0,46%	4 636,0
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	0,38%	3 831,1
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	0,01%	109,4

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში**

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 1 723.6 მლნ ლარი (მშპ-ს 3.6%);
- თავდაცვა - 978.4 მლნ ლარი (მშპ-ს 2.0%);
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 1 209.8 მლნ ლარი (მშპ-ს 2.5%);
- ეკონომიკური საქმიანობა - 2 207.7 მლნ ლარი (მშპ-ს 4.6%);
- გარემოს დაცვა - 102.3 მლნ ლარი (მშპ-ს 0.2%);
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 143.3 მლნ ლარი (მშპ-ს 0.3%);
- ჯანმრთელობის დაცვა - 1 118.5 მლნ ლარი (მშპ-ს 2.3%);
- დასვენება, კულტურა და რელიგია - 335.9 მლნ ლარი (მშპ-ს 0.7%);
- განათლება - 1 539.7 მლნ ლარი (მშპ-ს 3.2%);
- სოციალური დაცვა - 3 512.8 მლნ ლარი (მშპ-ს 7.2%);

ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

- ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (2020-2023 წლები);
- 2020-2023 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები (როგორც საბაზო, ასევე ოპტიმიტური და პესიმისტური სცენარები). აღნიშნული ინფორმაცია 2020 წლის ბიუჯეტთან ერთად მოიცავს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის ფისკალურ მაჩვენებლებს;
- ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების განახლებული საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება წინა პროგნოზებთან;
- პროგრამული ბიუჯეტის დანართი;
- კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
- ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ;
- ინფორმაცია სახელმწიფო ვალის შესახებ;
- მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი (2019-2028 წლები);
- ინფორმაცია ცენტრალური ბიუჯეტის შესახებ; აღნიშნული მოიცავს ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ;
- 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა (8 თვის მდგომარეობით);

ამ ეტაპზე წარმოდგენილია 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვერსია. კანონპროექტის განხილვა გაგრძელდება საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში, ასევე საქართველოს სამინისტროების წარმომადგენლებთან. ამასთან, ოქტომბერში საქართველოში ჩამოვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია და მათთანაც გაგრძელდება აქტიური მუშაობა ბიუჯეტის ძირითადი მაკრო-ფისკალურ პარამეტრებთან დაკავშირებით.

განხილვების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად მომზადდება კანონპროექტის განახლებული ვერსია, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი სრულად შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2019-2020 წლების პროგრამას.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია 2020 წლის 1 იანვრიდან.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი სამი წელი):

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის;

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლებს, ასევე მუნიციპალიტეტების მიერ დღგ-ის სახით მისაღები შემოსავლების განაწილებას;

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონის პროექტი ასახავს 2020 წლისათვის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონის პროექტი ვრცელდება 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ბენეფიციარებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

**გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:**

ასეთი არ არსებობს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადებისათვის გამოყენებული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები, შეესაბამება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის პარამეტრებს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:**



ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი**

საქართველოს მთავრობა